ხუთშაბათი, 2 დეკემბერი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 ხუთშაბათი, 2 დეკემბერი, 1094 წ.

გაზეთის ფასი:

12 თვით . .	10 მ.	— კ.
11 ,, . .	9 ,,	50 ,,
10 ,, . .	8 ,,	75 ,,
9 ,, . .	8 ,,	— ,,
8 ,, . .	7 ,,	25 ,,
7 ,, . .	6 ,,	50 ,,
6 ,, . .	6 ,,	— ,,
5 ,, . .	5 ,,	50 ,,
4 ,, . .	4 ,,	75 ,,
3 ,, . .	3 ,,	50 ,,
2 ,, . .	2 ,,	75 ,,
1 ,, . .	1 ,,	50 ,,

ივერია

№ 276 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 276

წლიური ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

განცხადებანი იმ კერძო კაცთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც იმყოფებიან ანუ რომელთაც აქვთ თავიანთი უმთავრესი კანტორები თუ მმართველობანი კავკასიისა და იმიერ-კასპიის მხარეს გარეშე, მიიღებიან მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. ე. მეტცლის და ამხ.-ის განცხადებათა კანტორის მიერ: Москва, Краковское предмѣстье, 53, Парижъ, 8 Площадь Биржи.

კავკასიის გარეშე ქალაქებიდან მიღებულ განცხადების ფასი მე-4 გვერდზედ ორი შაურია სტრიქონზე, ხოლო პირველზე—ერთი აბაზი.

თავ. გრიგოლ გრიგოლის ძე მაღალაშვილი შვილებითურთ დიდს მადლობას უძღვნის ნათესავთა და ნაცნობთ, რომელთაც პატივი სცეს მისის მიცვალებულის მეუღლის

კნეინა ნინო სარდიონის ასულის მაღალაშვილის

ხსოვნას. (1—1)

რედაქციისაგან

„ივერიის" რედაქციამ ბინა გამოიცვალა და გადავიდა უფრო მოხერხებულ ადგილას, სახელდობრ ბარონის ქუჩაზედ, სახლი კ. ალექსი-მესხიშვილისა, კალოუბნის ეკლესიის გვერდზედ, ფოსტის მახლობლად.

იბეჭდება და საშობაოდ დაურიგდებათ მეორე პრემიათ „ივერიისა" „აღდგომა" (Воскресенье), რომანი გრ. ლ. ნ. ტოლსტოისა, იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც 1 თებერვლამდე შემოიტანეს თითო თუმანი.

ტელეფონი № 63. წარმოდგენა № 9 (აბონემენტის რიცხვში).

სახაზინო თეატრი

ოთხშაბათს, 8 დეკემბერს, 1904 წ.

ქართულის დრამატიულის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ვალერიან გუნიას საბენეფისოდ

პირველად ორი ახალი პიესა

პირველი

ორიგინალური პიესა

ნაოხარზედ

ანუ

ჩვენებური კენჭობანა

თანამედროვე სურათები 3 მოქმედ., ვალერ. გუნიასი.

მეორე

ნათარგმნი პიესა

ახირებული შემთხვევა

ანუ

მალად გაგიჟებული

მხიარული კომედია 2 მოქმ., მაკს მორეისა, თარგმ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. ჯავახიშვილი და სხვ.; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვალ. გუნია, ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, ნ. სარჯველაძე, კ. შათირიშვილი, ვ. შალიკაშვილი და სხვ.

საწევრო სეზონის ბილეთები ძალაშია.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია ◆ **დასაწყისი საღამოს 8 საათ.**

ამხანაგობის დირექცია. პიესებს დასდგამს მობენეფისე ვალ. გუნია.

ვეტცელის თეატრი

(მიხეილის ქუჩაზე)

კვირას, 5 დეკემბერს,

ქართულის დრამატიულის დასის-მიერ წარმოდგენილი იქნება

პატარა კახი

დრამა 5 მოქმ., თავ. აკ. წერეთლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ო. ლეჟავა, ბ. ნებიერიძისა; ბ-ნნი ს. სვიმონიძე, ი. ივანიძე, ვ. შალიკაშვილი, ჩარკვიანი, ნ. სარჯველაძე, მატარაძე, საფაროვი, იორდანაშვილი, წუწუნავა და სხვ.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი 20 კაპეიკიდან 2 მანეთამდე.

დასაწყისი 8 საათზედ.

ადმინისტრაცია ამხანაგობისა.

მორიგი რეჟისორი ვ. აბაშიძე.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას, 12 დეკემბერს, საღამოს 8 საათზედ, სამეურნეო ბანკის დარბაზში დანიშნულია ქართ. დრამატ. საზოგადოების წევრთა არა ჩვეულებრივი კრება.

განსახილველი საგნები:

1. ბ.ბ. ზუბალაშვილების შემოწირულების შესახებ.
2. მოხსენება ქართულის თეატრის შესახებ.
3. მოხსენება აღმასრულებელ კომისიათა შესახებ.
4. ხარჯთ-აღრიცხვა მომავალის წლისა.
5. საზოგადოების არსებობის 25 წლის იუბილეის პროგრამა.
6. ახალ წევრების არჩევანი.

(3—6—1).

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

ლ. დ. დონსკოისა

ხუთშაბათს, 2 დეკემბერს,

ბენეფისი ნ. ი. სპერანსკისა.

წარმოდგენილი იქნება

ბორის გოდუნოვი

ოპერა 4 მოქმედ., მუსიკა მუსორგსკისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი დონსკოი-ეიხენვალდისა, ტომკევიჩისა, შიხუცკაია-მინჩენკო, ხარიტონოვისა, მიხაილოვისა და სხვ.; ბ-ნნი დონსკოი, პოლუიანოვი, გალეცკი, პორუბინოვსკი, სპერანსკი, ბაგროვი, ზალინსკი, მურატოვი და სხვ.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. ბეცევიჩი.

კაპელმეისტერი: ან. ეიხენვალდი.

ფასები ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზედ.

პარასკევს, 3 დეკემბერს,

1-ლი გასტროლი საიმპერატ. თეატრის არტისტ ქალის ნადეჟდა ამბროსის ასულის **პაპაიანისა** და მესამე დებიუტი ვ. ი. ლაზარევისა.

წარმოდგენილი იქნება

პიკოვაია დამა

ოპერა 3 მოქმ. 7 სურ., მუსიკა ჩაიკოვსკისა.

შაბათს, 4 დეკემბერს,

მე-8 «გალა» წარმოდგენა

ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით

პირველად ტფილისის სახაზინო თეატრში

წარმოდგენილი იქნება

მანონი

ოპერა 5 მოქმედ., მუსიკა მასსნესი.

მზადდება წარმოსადგენად პირველად **«მანდარინის შვილი»**, ც. კიუისა.

ბილეთები იყიდება.

გამგე ი. კელდერი.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აპეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კკრაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

მ. სოლოღაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 1½—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

გ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

პ. ა. არდაზიანი. აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას 5 7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

—

პორტ-არტური. «ნოვოსტი დნია»-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი პ. დ. კ. საინტერესო აზრს გამოსთქვამს პორტ-არტურის მდგომარეობისა, გენ. ნოგისა და რუსის ჯარის მომავალ მოქმედებაზე. ბ-ნი პ. დ. კ. სწერს:

«დეპეშიდან ვიცით, რომ 19 ნოემბერს პორტ-არტურის დამცველებმა მეორედ ჩამოაგდეს დროებითი შერიგება 6 საათით (დილის 10 სათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე) მოკლულთა და დაჭრილთა მოსავლელად. მორიგება თვითონ რუსებმა ითხოვეს და ეს გარემოება საკმაოდ საყურადღებოა. ეტყობა, ციხის ჩრდილოეთ ფრონტზე ხუთის დღის განმავლობაში (15—18 ნოემბერს) მეტად გამწვავებული ბრძოლა მოჰხდა და ორსავ მხარეს დიდი ზარალი მოსვლიათ. ადვილად შესაძლებელია, რომ ბრძოლის ველზე საშინელ იერიშისა და მრავალ შეტაკების შემდეგ ბევრი დაჭრილი დარჩა და რაკი ზარბაზნის სროლა არც ერთმა მხარემ არ შეაჩერა, დაჭრილთა გატანა შეუძლებელი იყო. რუსებს პარლამენტიორები (მოციქულები) გენ. ნოგის არმიის მარცხენა ფრთაზე გაუგზავნიათ; ეს ფრთა რკინის გზის აღმოსავლეთით მოქმედებს ვეშაპის ქედის გაყოლებაზე (დრაკონოვ ხრებეტ), კიკუანისა და სხვა სიმაგრეების წინააღმდეგ. იქნება გენ. ნოგის არმიის მთავარი სადგომიც სწორედ იქ იყოს, სადაც მოლაპარაკება მოჰხდა. ყველაზე მეტი ზარალი კი ორსავ მხარეს, რაღა თქმა უნდა, ვისოკაია გორის აღების დროს მოუვიდოდათ. როგორც ყოველთვის, იერიშის მიმტანს გაცილებით მეტი ზარალი მოუვიდოდა დამცველზე, მეტადრე ძლიერს, წინადვე გამაგრებულ პოზიციის აღების დროს. მაგრამ მაინც ის ცნობა, ვითომ იაპონელებს 15 ათასი კაცი დააკლდათო, დასაჯერებელი არაა; აკი ამას წინადაც ვსთქვით, რომ ეს ცნობა ტყუილი იქნებაო. დეპეშამ ორის დღის შემდეგ იაპონელების ზარალი თითქმის ერთი ორად შეამცირა,—იაპონელებს 8 ათასი კაცი დააკლდათო, მაგრამ ესეც ახირებული ციფირია. ხელახლად უნდა გავახსენოთ ყველას, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჯარის დიდ ზარალს. ხელ-ახლად გადაჭრით ვაცხადებთ, რომ ესეთი ცნობა სულ არა გვჯერა და გვიკვირს იმათი ქცევა, ვინც ამ ზარალს სთხზავს, ვისაც სჯერა ეს ცნობები და უფრო გვიკვირს, რომ ზოგიერთს მოპირდაპირის ზარალი გამარჯვების ნიშნად მიაჩნია. ერთად-ერთი საზომი გამარჯვებისა—გახლავთ ბრძოლის შედეგი, დიდი ზარალი კი მედგრობის, მაღალ ღირსების და საკვირველ მამაცობის მაჩვენებელია, მეტადრე თუ დიდის ზარალის შემდეგ ჯარი კიდევ და კიდევ მიდის იერიშით. რასაკვირველია, მოხდება, რომ სულით სუსტი კაციც, საზარელ ბრძოლისა და ჟლეტვისაგან თავზარდაცემული, პირველი მიდის ხოლმე წინა, ეგაა, ისეთი წინსვლა თითქმის მხდალობად ჩაითვლება და არა ნამდვილ ვაჟკაცობად. მაგრამ თუ ჯარი ერთისა და იმავე გზით ამხანაგების სისხლით მორწყულ და გვამებით სავსე ბრძოლის ველზე რამდენჯერმე მედგრად მიდის იერიშით, ესეთი ჯარი ნამდვილ გულად და ღირსეულ ჯარად უნდა ჩაითვალოს.

მას აქეთ, რაც იაპონელებმა 203 მეტრიანი, ანუ «ვისოკაია გორა» აიღეს, ხელახლად დაიწყეს ლაპარაკი, რუსის მეციხოვნე ჯარი უკანასკნელ გაჭირვების დროს ლიაოტეშანს შეაფარებს თავსაო. ძნელი გამოსაკვლევია, საიდან დაიბადა ეს აზრი, მაგრამ მაინც ეჭვს გარეშეა, რომ ლიაოტეშანს ბევრი მომხრე ჰყავს და ბევრს თითქმის უებარ წამლად მიაჩნიათ იაპონელების ყოველნაირ გამარჯვების წინააღმდეგ. ყველა რაღაც მიზეზით დარწმუნებულია, რომ ციხის დამცველები ლიაოტეშანზე უნდა ავიდნენ და იქ მოიგერიონ მტერიო, თუმცა ლიაოტეშანს არავითარი კავშირი არა აქვს ციხესთან; ეს უცნაური აზრია სწორედ; უფრო უცნაური კიდევ ისაა, რომ ბევრსა ჰგონია, ვითომ ესეთ ქცევას რაიმე არსებითი მნიშვნელობა ექნებაო. გვგონია, რომ ეხლა მალე ცხადად გამოირკვევა, თუ რას აპირობენ პორტ-არტურის დამცველები. ჩვენის აზრით, ციხის დამცველები უმთავრესად ციხის აღმოსავლეთ ნაწილის დაცვას მიაქცევენ ყურადღებას. რა სარგებლობა ექნება ციხეს, მეციხოვნე ჯარი რომ გაჭირვების წამს რომელსამე მიუვალ გორაზე ავიდეს? ციხეს რაღა მოუვა ამ დროს? აიღებენ, არა? რაღა სერიოზული მნიშვნელობა ექმნება დამცველ ჯარს, მიუვალ კლდეზე გამაგრებულს, რაკი თითონ ციხე აღარ იქნება? რასაკვირველია, მაშინ დამცველები მტერს ტყვედ აღარ დაჰნებდებიან, მაგრამ ამ გამაგრებასა და ბრძოლას არავითარი გავლენა არ ექნება ომის მიმდინარეობაზე. ამიტომ აქ კიდევ ორიოდე სიტყვა უნდა ვსთქვათ ციხის აღმოსავლეთ ნაწილზე. ამ ნაწილის მნიშვნელობა ჩვენ რამდენჯერმე აგვიხსნია. საწყობებისა, არსენალების, საავადმყოფოებისა და ყოველგვარ დაწესებულებათა მომეტებული ნაწილი იქა მდებარეობს. ეს ნაწილი უფრო ძლიერადაა გამაგრებული: აქ მრავალი მკვიდრი სიმაგრეა აშენებული; ბუნებრივი ადგილ-მდებარეობაც უკეთესი აქვს: ვეშაპის ქედი (რუსულად «დრაკონოვ ხრებეტ») რკალივით აკრავს აღმოსავლეთ ნაწილს და დიდ სიმაგრესაც აძლევს, ასე რომ, ეს ნაწილი ციხის ნამდვილი, საიმედო ბურჯია. დასასრულ, რუსის ფლოტიც აქა დგას; რუსის ხუთ ჯავშნიან გემს ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი ძალა აქვს და აბუჩად ასაგდები როდია...

203 მეტრიან გორის აღებით იაპონელებმა ციხის ფორტების წრე გაარღვიეს, ციხის დასავლეთ და ჩრდილოეთ ფორტებს შუა ჩადგნენ და ამას იქით ციხის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილის ერთმანეთისაგან მოწყვეტას ეცდებიან. ერთ დეპეშაში ნათქვამი იყო, მრავალ თავგანწირულ იერიშის შემდეგ ციხის დამცველები ანძიშანისა (სუნშუშანის ფორტის ახლოა, რკინის გზის მხარეს) და იძიშანისაკენ (ჩრდილოეთ ფრონტის მარცხენა ფრთაზე მდებარეობს) დაიხიესო. შესაძლებელია, რომ იაპონელები 203 მეტრიან გორაზე გამაგრდებიან და ყოველნაირად ეცდებიან, ამ ფორტების შუა კიდევ წინ წაიწიონ და ახალი პოზიციები დაიჭირონ. რაკი იაპონელები ამ ორ ფორტს შუა წინ წაიწევენ, ციხის აღმოსავლეთსა და დასავლეთ ნაწილს თითქმის მოსწყვეტენ ერთმანეთს.

მაშინ მეტად მნიშვნელოვანი წამი დადგება. მართალია, ციხეს კიდევ ექნება ბრძოლის თავი, კიდევ შეეძლება წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ ის გარემოება გააჭირვებს საქმეს, რომ რუსებმა მაშინ ხელად უნდა გადასწყვიტონ, როგორ მოიქცნენ და უკანასკნელი წინააღმდეგობა იაპონელებს სად, რომელ ფორტებში გაუწიონ. იცოდეთ, რომ ესა თუ ის ფორტები იმის შემდეგ კი არ უნდა აირჩიონ, როცა წინა ფორტებს სულ მტერი აიღებს; არა, ეს უკანასკნელი ბურჯი და თავშესაფარი ადგილი გაცილებით წინ უნდა აირჩიონ, თორემ მერე გვიანღა იქნება. განა ერთს წამს მაინც შეიძლება ვიფიქროთ, რომ მეციხოვნე ჯარი ლიაოტეშანზე გადავა? გაისარჯენით, კარტას დაჰხედეთ და დაინახავთ, რომ აღმოსავლეთი და დასავ-

ლეთი ნაწილები სიმაგრეებისა ერთ მთლიან ციხეს წარმოადგენს, ლიაოტეშანი კი ციხის გარედ მდებარეობს. დასავლეთ ნაწილისა და ვეფხის ნახევარ კუნძულის სამხრეთით; მართალია, ლიაოტეშანი მეტად მაღალი ადგილია, მაგრამ მეტად დაშორებულია სხვა ადგილებს და ხანგრძლივ გამაგრებისა და ბრძოლისათვის არ გამოდგება. მაშ დადგება წამი, როცა რუსის მეციხოვნე ჯარმა უნდა გადასწყვიტოს, თუ სად იმოქმედოს შემდეგში, ციხის რომელ ნაწილში დაიცვას თავი და მოიგერიოს მტერი. განა ცხადი არაა, რომ რუსის ჯარი ციხის აღმოსავლეთ ნაწილს დაიცავს და იქ გამაგრდება, რადგან პორტ-არტურის ნამდვილი გული ამ ნაწილში მდებარეობს? ხომ იცით, სანამ გული სცემს, მთელი სხეულიც მანამდეს სცოცხლობს; ამ შემთხვევაში სხეულად რუსის ციხე და ფლოტი ჩაითვლება. ან როგორ წავიდნენ ლიაოტეშანზე, რა დროს? უკანასკნელ წამს? რას ჰნიშნავს ესა? არა მგონია, რომ იმათ, ვისაც მეციხოვნე ჯარი ასე ადვილად გადაჰყავთ აღმოსავლეთ ნაწილიდან დასავლეთში და მერე იქიდგან ერთბაშად ლიაოტეშანზე, ესმოდეთ ესა. განა შეიძლება ჯარი ლიაოტეშანზე წავიდეს და იმავე დროს მტერიც შეაყენოს? წინადვე წასვლა კი ციხეზე ხელის აღება იქნება. ამიტომ დარწმუნებულნი ვართ, რომ თუ იაპონელები უმთავრეს ფორტების წრეს გაარღვევენ და ციხის ორსავ ნაწილს ერთმანეთს მოსწყვეტენ, რუსის მეციხოვნე ჯარი ციხის აღმოსავლეთ ნაწილში გადავა (ოქროსა და ვეშაპის გორები ერლუნშანამდე), იქ გამაგრდება და დიდ წინააღმდეგობასაც გაუწევს იაპონელებს. დასავლეთ ნაწილის ფორტებსა და ლიაოტეშანზე კი წინადვე შესაფერს მეციხოვნე ჯარს ჩააყენებენ, მაგრამ უმთავრესი ბრძოლა დასავლეთ ფორტებსა და ლიაოტეშანზე როდი მოხდება. შეიძლება ზოგმა სთქვას, ბოლოს მეციხოვნე ჯარი მაინც ლიაოტეშანზე გადავაო (როდის და როგორ გადავა?), მაგრამ გინდ რუსებმა მოახერხონ კიდევაც ლიაოტეშანზე გადასვლა, შემდეგი ბრძოლა უბრალო ბრძოლა-ღა იქნება ერთის პატარა ჯგუფისა იაპონელების არმიასთან და ეს მცირე ჯგუფი პორტ-არტურისათვის კი აღარა, მხოლოდ იმისთვის იბრძოლებს და გასწყდება, რომ ტყვედ არ დაჰნებდეს მტერსა. იმ დროს ციხის საქმე სამუდამოდ წასული იქნება». (ცნ. ფ.).

—

წვრილი ამბები. გაზეთ «სტანდარტ»-ის კორესპონდენტი ირწმუნება, ვითომ რუსეთის საადმირალოს მიეღოს საგულისხმო ცნობები, საიდგანაც სჩანს, თუ რას აპირობენ იაპონელები ადმირალ როჟესტვენსკის დასახვედრად. სანამ რუსეთის ესკადრა ყვითელ ზღვას მიაღწევდეს, მანამდის ტოგო უკვე უნდა შეებრძოლოს როჟესტვენსკის. იმავე დროს ადმირალი ურიუ მსწრაფლ-მავალის კრეისერებით ნახშირით დატვირთულ გემებს უნდა ეცეს, გზა მოუჭრას და დაღუპოს. (რუს).

«რუს. სლ.»-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ იაპონელების ერთი დიდი მატარებელი, სამხედრო მასალითა და სურსათით დატვირთული, სადგურ შახეს მოვიდაო.

«დეილ ნიუს»-ს ნიუ-იორკიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ ქალაქ ომაგაში ხორცის კონსერვებით 10 მატარებელი დატვირთეს, კონსერვებს წყნარ ოკეანის რომელსამე სანაპირო ქალაქში მიიტანენ, იქ გემებზე გადაიტანენ და რუსებს წაუღებენო. როდის და საიდგან წამოიღებენ ამ კონსერვებს, არ ამბობენ, რადგან იაპონელები შეიტყობენ, გემებს დაატყვევებენ და კონსერვებსაც ხელში ჩაიგდებენო. (რ. ვ.).

ახალი ამბავი

—

აკაკის ავადმყოფობის გამო. ამ დღეებში ავადმყოფ აკაკისთან მისულა ერთი განათლებული რუსი და უთხოვნია: ნება მომეცით თქვენის თანხის სასარგებლოდ გამოვითხოვო ასი თუმანი რუსეთის სალიტერატურო ფონდიდგანაო. აკაკის მადლობა გადაუხდია, მაგრამ უთქვამს: დახმარება შემიძლიან მივიღო მხოლოდ მახლობელ ჩემიანებისაგანაო.

⁂ **მოქალაქეთა საზოგადოების საყურადღებოდ.** ამას წინად გაზეთებში დაბეჭდილი იყო, რომ მოქალაქეთა საზოგადოების მამასახლისმა ბ-ნმა დანდუროვმა მოქალაქეთა გამგეობაში საღამოობით შემოიღო მუშაობა, რაც უხერხულია გამგეობის მოხელეთათვისაო. ჩვენ ვიტყვით, რომ საღამოობით მუშაობა მარტო თავის ინტერესებისათვის შემოიღო ბ-ნმა დანდუროვმა, რადგანაც ის, როგორც გადმოგვცეს, თურმე ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობაშიაც მსახურებს და, რასაკვირველია, უძნელდება ერთის ხელით ორის საზამთროს დაჭერა. კაცს რომ ძლიერ საჭირო საქმე ჰქონდეს ბ. ნ დანდუროვთან, ვერ ჰნახავს ვერც შუადღის 12—2 საათზედ და ვერც საღამოს. მაგალითად, ერთმა კაცმა შემოგვჩივლა: ეს რამდენი ხანია მინდა ნახვა ბ-ნ დანდუროვისა, მაგრამ ვერც დილით და ვერც საღამოთი ვერ მომისწრია მისთვის გამგეობაში; გამგეობის მსახურს ვკითხე: როდის შეიძლება მამასახლისის ნახვა-მეთქი? და მიპასუხა: როცა მობრძანდება, მისი ნებაა; «ჩაჩალსტვოაო»!.. ბ-ნი დანდუროვი ორთავე სამსახურიდგან ჯამაგირს იღებს და კარგი იქნება, რომ ან ერთ ადგილს მიატოვებდეს და ან მეორეს, რადგანაც ამნაირად საზოგადოებრივ დაწესებულებაში სამსახური შეუძლებელია. სხვა არა იყოს რა, მისის გულისთვის მოქალ. გამგეობის კარებთან ხომ ვერ დაალამებს დღეს მისის ნახვის მსურველი!..

⁂ **მეორე სახალხო წარმოდგენა.** კვირას, 5 დეკემბერს, ვეტცელის თეატრში გაიმართება მეორე იაფ-ფასიანი წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება აკაკის 5-მოქმედებიანი ისტორიული დრამა-პოემა «პატარა კახი».

⁂ **ახალი ლიანდაგი ელექტრონის ტრამვაისა.** ბელგიის უსახელო საზოგადოების ტფილისის ტრამვაის დირექტორმა ბ-ნმა გრიმანისმა ბელგიიდგან ამბავი მიიღო, რომ ხსენებული საზოგადოება თანახმაა ავლაბრიდგან ნავთლუღამდე ელექტრონის ტრამვაისათვის ლიანდაგი დააგოს; ნავთლუღის ლიანდაგის დაგებას მომავალ წლიდგან შეუდგებიან.

⁂ **შუაბაზრის გაფართოვება.** კვირას, 5 დეკემბერს, ქალაქის გამგეობის სადგომში მიწვეულნი არიან მეორე კატეგორიის მამულების პატრონნი, რომელთა ქონებანიც უნდა გამოისყიდოს ქალაქმა, რათა გაფართოვებულ იქმნას შუაბაზრის მოედანი ისე, რომ შეიძლებოდეს ელექტრონის ტრამვაისათვის ლიანდაგის დაგება ერევნის მოედნიდგან თაორების მოედნამდე.

⁂ **ელექტრონის ტრამვაი.** ტფილისის სადგურიდგან ვორონცოვის ძეგლამდე, როგორც ტრამვაის საზოგადოებამ აცნობა ქალაქს, ელექტრონით ვაგონების მოძრაობისათვის თითქმის ყველაფერი მზადაა, მხოლოდ საჭიროა ქუჩების გასწორება და ჯეროვან მდგომარეობაში მოყვანა, რასაც ამ დღეებში მორჩებიან.

⁂ **რუსეთის ყრუ-მუნჯთა სამზრუნველოს** კავკასიისის განყოფილებამ სთხოვა ქალაქის გამგეობას: მომავალ 1905 წლისათვის ქალაქმა 1,000 მანეთით შემწეობა აღმოუჩინოს ყრუ-მუნჯთა სკოლის შესანახად სამზრუნველოს კავკასიის განყოფილებასაო.

⁂ **ეკკლესიის გაქურდვა.** «ცნ. ფურ.»-ს ატყობინებენ, რომ გურია-სამეგრელოს ეპარქიაში არსებული ღიისის ღვთის მშობლის ეკკლესია ვიღაც უცნობთ 23 ნოემბერს ღამე გაუტეხიათ და მოუპარავთ: გარდამოხსნა, კრეტსაბმელი, შანდლები, 4 გირვანქა წმინდა სანთელი, 7 გირვანქა ნამწვი, საეკკლესიო დოკუმენტები, მეტრიკის წიგნი ამა წლისა და საეკკლესიო ქონების აღწერილობა, სანთლის დავთარი, შემოსავალ-გასავლის წიგნები 1900, 1902 და 1903 წლებისა; ზოგ დოკუმენტებიდან ფურცლებია ამოხეული.

⁂ **საიჯარო მიწები.** ქალაქის ადგილების იჯარით გამცემმა კომისიამ დაამთავრა შემუშავება იმ ხელშეკრულობის პროექტისა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს მიწების გაცემის დროს. იჯარის ვადა იქნება 24 წელიწადი. ადგილები გაიყოფება სამ კატეგორიად. ფასი იქნება 20-დან 40 კაპეიკამდე. ადგილები გაიცემა კენჭის ყრით.

⁂ **მუხრანის ხიდის ასაშენებლად** წარმოდგენილ პროექტთა განსახილველად დანიშნულ კომისიაში მონაწილეობას იღებენ ინჟინრები ნოვომეისკი, აკორონკო, კოპრანსკი და სამხედრო ინჟინერი შლიტერი. თვით პროექტები ამ ჟამად გამოკიდებულია თვითმმართველობის დარბაზში და ყველას შეუძლიან მათი განხილვა.

⁂ **ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკი.** ფინანსთა მინისტრს წინადადება მიუცია ამ ბანკის მმართველობისათვის, რომ დაუყოვნებლივ შევსებულ იქმნას ის ზარალი, რომელიც ბანკის საზოგადოებას მოუვიდა და ნაღდ ფულად შემოიტანონ 530 ათასი მანეთი, ან მოახდინონ საქმეთა ლიკვიდაციაო.

ცოტა რამ აკაკის ავადმყოფობაზედ.

—

აკაკი ავად გახდა. ქართველობა შეძრწუნდა. ჩვენმა საზოგადოებამ, შეძლებისა და გვარად, ნივთიერი შემწეობა აღმოუჩინა. გუშინ ღამ ვიახელ სანახავად. ჯანზედ კარგად არის ჩვენი მგოსანი, ხოლო ცოტა მოწყენილობა გამოიხატება იმის სახეზედ, თუმცა ძნელი შესამჩნევია ეს, თუ კაცი კარგად არ ჩაუკვირდა; ვიმუსაიფეთ. ვეცადე გამერთო და კიდევაც მოვახერხე. ოცის წუთის შემდეგ აკაკი ისევ ჯან-მრთელი, ტკბილი მოსაუბრე, ოხუნჯი და მჭევრ-მეტყველი იყო. ბევრი ვაცინე და მაცინა... ვნახე მისი მდგომარეობა და, ცოტა არ იყოს, შევფიქრიანდი... აკაკი არის პატარა, ბნელს ოთახში მოთავსებული... ჰაერი ცოტაა, ოთახი ნოტიოა, სახლი ერთსართულიანია და მიწაზედა სდგას. კარაპანი აქვს ცივი; ახლოა საბანაო ოთახი და ფეხის ადგილი. ამისთანა მოწყობილება არ ეკადრება ძვირფასს ავადმყოფს... ექიმი არა ვარ, მაგრამ თამამად ვიტყვი, რომ ექიმებისაგან დიდი ცოდვაა აქნობამდე აკაკის აქ გაჩერება. უნდა გადაიყვანონ ფართო ოთახში, სადაც საკმარისი სუფთა ჰაერი უნდა იყვეს, მზე ორიოდე საათს მაინც აშუქებდეს და უეჭველად მეორე სართულში. საჭიროა მგოსნის სათუთი ცხოვრება, უნდა მუდმივი მოვლა, მოვლა და კიდევ მოვლა. უნდა მიეჩინოს სათნოების და, მეუღლე აკაკისა მოხუცი ადამიანია და ვერ შესძლებს იმის მოვლას, რადგანაც ფიზიკურად უღონოა. ზემოთ ვსთქვი, ჯანზედ კარგად არის, მაგრამ სახეზედ მოწყენილობა ეტყობა მეთქი. გავიგე, რა აწუხებდა აკაკის... მამული ეყიდება საჯარო ვაჭრობით ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში, ამ დეკემბერში... ოცი თუმანი საჭიროა და არა აქვს, რომ მამული გაინთავისუფლოს. სწორედ ეს ფიქრი აღშფოთებს მგოსანს. ამბობენ: «რაც ფული შეიკრიფება, ყოველი გროში აკაკის განკურნებას უნდა მოხმარდეს, არც მამულის დახსნა, არც ცოლი, არც შვილი და არც სხვა რამ მხედველობაში არ მიიღებაო“. ახლა კი არ ვიცი, როგორ უნდა გასაღდეს ჯანით აკაკი, თუ არ დავამშვიდებთ სულით, ესე იგი არ დავუხსნით მამულს? ხომ მუდამ აღშფოთებული იქნება და, აბა, ამ შემთხვევაში რას გააკეთებს შრომა და სხვა და სხვა მალამოები... ჩემის აზრით, უეჭველად მალე უნდა გადაიდოს ოცი თუმანი, ტფ. ბანკიდგან მამულის გასანთავისუფლებლად. გავბედავ და გავუზიარებ მკითხველს ჩემს აზრს, როგორ უნდა მოეწყოს აწმყო და მომავალი ცხოვრება ჩვენის შეუდარებელის მგოსნისა. ცხოვრება გაძვირდა, გართულდა... საჭიროა აკაკისათვის: მოზრდილი ოთახი, ნოყიერი საჭმელი, ცოტ-ცოტა და ხშირად, კარგი მოსამსახურე, ჩაცმა-დახურვა და მრავალი სხვა წვრილმანი ხარჯი, რომელიც სჭირია კულტურულ ადამიანს... ყველა დასაკმაყოფილებლად საჭიროა თვეში არა ნაკლებ ას ორმოცდა ათის მანეთისა, ამას თამამად ვამბობ, რადგანაც ცხოვრებაში გამოცდილი ვარ... კომიტეტმა, რომელსაც აქვს მინდობილი აკაკის ცხოვრების გაწესრიგება, ყოველივე ეს უნდა გაითვალისწინოს. ნაკლები თუ დაუნიშნა, აკაკი ისევ შევიწროვებული იქნება და მისი გასაღება საეჭვოა. ეს მომავალზედ, და ეხლა კი, სანამ საჯარო ვაჭრობა მოხდებოდეს ბანკში აკაკის მამულზედ, უნდა გავგზავნოთ ოცი თუმანი და გავანთავისუფლოდ მამული. აი, ამ მამულის გამოსახსნელად წარმოვუდგენ «ივერიის» რედაქციას ათ მანეთს, იქნება სხვებმაც მომბაძონ და საქმე გაიჩარხება *).

სოსიკო თარხნიშვილი.

საქართველო

—

ზემო სვანეთი.

იტალიელი მოგზაური.—მღვ. გ. მარგიანი.—სოფ. ადიში.

ამ ზაფხულს გვესტუმრა ერთი უცხო ქვეყნის მოგზაური, ტომით იტალიელი. ძალიან მოიწონა აქაური ჰაერი და ბუნება, შეადარა შვეიცარიას და ამბობდა,: «ვინც სვანეთში არ ყოფილა, ის კავკასიაში ნამყოფად არ ჩაითვლებაო». ჩვენებურმა წესწყობილებამ და ხალხის მდგომარეობამ კი მეტის-მეტად შეაწუხა, დაადონა და ჩაუშხამა სიამოვნება.

სტუმარს მთელი სვანეთი დავატარე და გავაცანი. ყველაზედ მეტად უკვირდა ღარიბული ცხოვრება ხალხისა, გაუნათლებლობა და სიბნელე მისი, უკვირდა ციხე-კოშკებისა და ძველის ეკკლესიების სიმრავლეცა. როცა იტალიელმა უკან დაბრუნება ისურვა, მოინდომა მაღალ კლდეების უფრო ახლოს ნახვა. გაუდექით გზას. საღამოს მივაღწიეთ მღ. მამა გიორგი მარგიანის სახლამდე. ამ წმინდა აბრამივით სტუმრის მოყვარემ ჩვეულებრივი მასპინძლობა გაგვიწია და ბევრი რამ საინტერესო გვიამბო სვანეთისა. გიორგი მარგიანი, მღ. პ. კარბელაშვილის თანახმად, ერთი უპირველესი მამულის-შვილია, მეტის მეტად სტუმრის მოყვარე, ღარიბების შემბრალებელი და ყველაზედ უხნესი ს. მულახში. სვანეთში რომ უწინ «პაპები» იყვნენ, ეს გიორგი მარგიანი იმათ რიცხვში ითვლებოდა. 1857 წელს ჩავიდა ქუთაისში, სადაც ეგზარხოსმა მონათლა და მიაბარა გაბ. ეპისკოპოზს. 1865 წელს გაბ. ეპისკოპოზმა მღვდლათ აკურთხა. შემდეგ ისევ თავის ქვეყანას მიუბრუნდა და შეუდგა ქრისტიანობის გავრცელებას. ამ შრომის მოყვარე მოძღვარმა გაუზარდა ოთხი შვილი საშუალო სასწავლებელში სამშობლოს დიდის შრომითა და გაჭირვებით. ისინიც დღეს თავის ყრუ მხარეს ემსახურებიან. ერთის სიტყვით, მარგიანი განთქმულია მთელს სვანეთში. მღვ. მარგიანის, როგორც გარეგანმა შეხედულობამ, აგრეთვე ენერგიულმა ლაპარაკმა და ოჯახობის წესწყობილებამ დიდად იმოქმედა იტალიელზედ.

მეორე დღეს განვაგრძეთ გზა, წავედით აღმოსავლეთისაკენ და მივედით სოფელ ადიშს. გზაზედ ბევრს კარგს საბალახოებსა და ადგილებს შევხვდით, რომლებმაც აღტაცებაში მოიყვანა იტალიელი. თოვლიან მაღალ კლდეების უფრო ახლოს ნახვამ ხომ სულ გადარია. საღამოს მივედით ზემოხსენებულ სოფელში, რომელიც ჯოჯოხეთს მოგაგონებთ. ცის მეტს ამ სოფლიდან ვერაფერს დაინახავთ, რადგანაც გარშემო ირგვლივ კლდეები არტყია და ჭასა ჰგავს. იტალიელს ძალიან უკვირდა ამ სოფლის ამბავი და გარემოება: რათ დასაჯა ღმერთმა და საიდგან გამოააწყვსა აქ ეს საწყალი ხალხიო. უკვირდა აგრეთვე, თუ რანაირად ირჩენენ თავსა, როდესაც ქერის მეტი ვერც ერთი მცენარე ვერ მოასწრებს ხოლმე დამწიფებას, რადგანაც ცივი და თოვლიანი კლდეები თავზედ დასცქერის და ჩამოთოვს ხოლმე მაშინ, როდესაც არც ეს ქერია შემოსული. ამნაირათ საწყალ მცხოვრებლებს ტყვილად ეკარგებათ შრომა. ძალიან უკვირდათ ჩვენი გარეგნობა, რადგანაც «ევროპიულ» ტანსაცმელიანი კაცი თავის დღეში უმეტეს ნაწილს იმათგანს არ უნახავს. ბინა ვსთხოვეთ, მაგრამ სანამდი არ მიცნეს და არ გაიგეს, რომ სვანი ვიყავი, მანამდე უარზედ იდგნენ: ბატონო», სად გვაქვს თქვენი საკადრისი ბინაო. მხოლოთ როცა მიცნეს, იმათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა და მალეც დაგვაბინავეს. მამასახლისი მოგვიყვანეს. მამასახლისმა დიმიტრიმ თვალ წინ დაგვიხატა თავიანთი ცხოვრება და მდგომარეობა. პირველი იმათი საჩივარი უმღვდელობა იყო, რის გამოც აქ, როგორც დიმიტრი ამბობდა, ეკლესიების კარები ხალხს არ უნახავსო. უმეტესი ნაწილი უზიარებლათ და უმღვდელოთ იმარხება. დიმიტრიმ გვთხოვა, ქაღალდი მიგვეწერა ხელმწიფესთან, რომ ან ურიობის ნება მოგვცესო, ან და ქრისტიან ხალხის წეს-წყობილებაზე და პირობაზე დაგვაყენოსო. მღვდელი კი ჰყოლია ამ სოფელსაც, მაგრამ იმყოფება ისეთ მოშორებულ სოფლებში, რომ ყოვლად შეუძლებელია ემსახუროს ამ სოფელს, რადგანაც ამ სოფლებს შუა საზოგადოთ ზამთარში რამდენისამე თვის განმავლობაში გზები დაკავებულია და, არამც თუ კაცი, არამედ ჩიტიც ვერ გადაფრინდება ერთიდან მეორეში.

ეგნ. გ. გაბლიანი.

—

სოფ. ბაღდათი (იმერეთი). **უფასო საავადმყოფოს დაარსება.** ბაღდათის მკვიდრთ შესამჩნევად დაეტყოთ გამოფხიზლება, რასაც შედეგათ მოაქვს წინმსვლელობა ბაღდადისა. დღემდინ თუ აქაურები მიჩუმებულნი იყვნენ, დღეს კი ენერგიულად ეკიდებიან სხვა და სხვა სიმპატიურ დაწესებულების დაარსებას ბაღდადში, რისათვისაც თავის უკანასკნელ წვლილს არ ზოგვენ. ამ დღეებში საბოლოოდ გარდაწყდა მთავრობისაგან აქ სამკურნალოს დაარსების საქმე. სამკურნალო იქნება სახელმწიფო თორმეტის უფასო ლოგინით და ეყოლება ერთი ექიმი, ორი ფერშალი და ორი ბებია ქალი. ყველა ესენი იქნებიან სახელმწიფო ჯამაგირით. ამ სამკურნალოს დაარსებისათვის ბევრსა სცდილობდნენ სოფელ ამაღლების (ქუთაისის მაზრაშივე) მკვიდრნი და გუბერნიის ექიმიც იმ აზრისა იყო, რომ იქ დაარსებულიყო სამკურნალო, მაგრამ ბაღდადის მომრიგებელ მოსამართლემ ბ-ნ ორჯელმა, გამომძიებელმა ბ-ნ ხაბურზანიამ, პატივცემულმა ვაჭრებმა, ბოქაულმა ბ-ნ ვაშალომიძემ, მამასახლისმა ბ-ნ გოგრაძემ და ადგილობრივმა მეაფთიაქემ ბ-ნ გვანცელაძემ თავისის ენერგიულ მეცადინეობით დასძლიეს ამაღლებლებს და მთავრობას დააარსებინეს სამკურნალო ბაღდადში, რაისათვისაც ზემოხსენებულნი დიდის მადლობის ღირსნი არიან.

ფოსტა. ამ მოკლე ხანში ადგილობრივი ბოქაული და მამასახლისი მოახდენენ კრებას აქ ფოსტის საქმის დასაბოლოვებლად. ყველა დარწმუნებულია, რო მოკლე ხანში დაარსდება ბაღდადში ფოსტა.

სკოლის საქმე. ზემოდ ჩამოთვლილნი ბაღდადის ბედ იღბლის მზრუნველნი გულ-მოდგინედ ემსახურებიან ზნეობრივად და ქონებრივად ადგილობრივ ორკლასიან სამინისტრო სკოლას. ამ სკოლაში კურს — დამთავრებულებს იღებენ საქალაქო სასწავლებლის მეხუთე კლასში და საოსტატო სემინარიებში.

ღვინის მოსავალი და მცირე ფასი. აქ წელს ჭირნახულის მოსავალი კარგი იყო: ღვინო ბლომად მოვიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ღვინის ფასი ძლიერ დაცემულია და ამ გარემოებამ შეაწროვა ხალხი. აქაურების უმთავრესს ცხოვრების სახსარი ღვინოა. თუ ღვინის ფასმა არ აიწია, შენი მტერი, ცუდათ იქნება ხალხის ეკონომიური მდგომარეობა.

ვანო.

სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი).

გაზეთი და პრემია.

საკვირველი დრო დადგა.

გაზეთს უპრემიოდ ისე არავინ იწერს, როგორც ცოლს უმზითვოდ არავინ თხოულობს.

ჩვენი მივიწყებული «სახელდახელო» დღეს ამ ტემაზედ უნდა განვაახლო.

მაგრამ არ შემიძლიან ერთი გუდა დაშაქრული საყვედური არ ვუძღვნა ბ-ნ კრინს (გთხოვთ უმორჩილესად კნინი არ გეგონოსთ).

თითქმის მთელი წელიწადი ვუყურყუტებ ამ დალოცვილს:

— აი, დღეს თუ არა, ხვალ მაინც დასწერს «სახელდახელოს» და ვისმე მაგრად უპწკენს-მეთქი, მაგრამ ვერ მოვესწარი.

საჭიროდ ვსთვლი აქვე განვმარტო; პწკენაც არის და პწკენაც; ზოგნი ჩვენს კოპწია ლამაზ ქალებსა პწკენენ ფრჩხილებით, ზოგნი კი ბასრ-მახვილ კალმით შორიდგან უპწკენენ იმათ, რომელთაც ასეთი პატივისცემა დაუმსახურებიათ. ჩემს კოლეგას — ბ-ნ კრინს-კი ეს უკანასკნელი უფრო ეხერხება.

ჰო, იმას ვამბობდი, — გაზეთი უპრემიოდ და გასათხოვარი ქალი — უმზითვუქროთამოდ გაუსაღებელი რჩება. პირველი სოლიუა ყასაბს ან მეწვრილმანე გეურქას უნდა მიჰყიდო ფუთობით ხორცისა ან დამპალ ხილის შესახვევად, მეორე კი — სახლში ბერდება და «სტარაია დევა»-დ ჰხდება; განსხვავება მხოლოდ იმაში არის, რომ პირველს ყასაბ-მეწვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რილმანე მაინც ჰყიდულობს, ხოლო მეორეს — უმზითვ-უქრთამო ქალს კი — აღარც ყასაბი ეტანება და არც მეწვრილმანე.

რას იზამთ, ცხოვრება წინ მიდის, ხალხის მოთხოვნილებამ იმატა და უნდა დააკმაყოფილო კიდეც; თუ ასე არ მოიქცევით, პირდია დარჩებით; ასე და ამგვარად, იმ დასკვნამდე შეიძლება მივიდეს კაცი, რომ უსათუოდ საჭიროა ქრთამ-მზითვიანის ცოლის შერთვა და პრემიანის გაზეთის გამოწერა. რადგანაც ესენი ერთმანერთთან განუყრელნი არიან და უამათობა კი, ცოტა არ იყოს, უხერხულია...

მაგრამ ეს კი საკვირველია: რუსეთში გამოდის ერთი უპრემიო გაზეთი, უკაცრაულ სახსენებელი. დასწყევლოს ღმერთმა, გასავალი საკმაოდ დიდი აქვს. მე კი მგონია, რომ ამ «გაზეთს»—ფუი ეშმაკს, დამიცევი სამას სამოცდა ხუთო წმიდაო გიორგი!—უფრო სასაცილოდ, ყბად-ასაღებად კითხულობენ, თორემ არც ხორცისა და არც ხილის შესახვევად იგი არ ვარგა, ერთი ყოვლად საძაგელი, სიმყრალის სული ასდის.

იმედია გაიგებდით, რომელზედაც მოგახსენებთ. ეს გახლავთ ცნობილი «ჭეშმარიტი რუსის პატრიოტი და სამშობლოს «კეთილის მსურველი»(sic!)..ადოლფ-ფრიდრიხ-ავგუსტ-გუსტავ ფონ-გრინგმუტი და მისი მყრალი ორგანო. განა წარმოიდგენდა ვინმე, რომ ეხლა, მე-XX საუკუნეში, იტყოდა რომელიმე გაზეთი ასეთს ლექს: «სასურველია კვლავ მოვიდეს ის ტკბილი ძველი დროება (ჰოჰოჰო!), რომელიც იყო ბატონ-ყმობისასო»? ეხლა კიდევ გაიძახის: «ასე ცხოვრება არ შეიძლება! შინაგან საქმეთა მინისტრმა ნდობა გამოუცხადა საზოგადოებრივ დაწესებულებათა და ჟურნალ-გაზეთობას, და ამათ კი ბოროტად ისარგებლეს ამ ნდობით და ისეთ რამეებსა სწერენ, რომ ყურს არ გაეგონებაო».

რასაკვირველია, გრინგმუტის ყურს არ გაეგონება ხმა-მაღალი სიმართლის მათრახები.

ეს გაზეთი მოსკოვის უნივერსიტეტის ორგანოდ ითვლება. ეს უნივერსიტეტი ამ დღეებში გრინგმუტის პირით «მოსკ. ვედ.»-ის ფურცლებზედ აცხადებდა: «ვიწვევთ მსურველთ, იჯარით აიღონ მოსკოვის უნივერსიტეტის უწმინდურების ორმოების გაწმენდისა და ქალაქ-გარედ გატანის საქმეო». ერთი რამ დაჰვიწყებია უნივერსიტეტს: «ვიწვევთ მსურველთ, რომ იჯარით აიღონ მოსკოვის უნივერსიტეტის უწმინდურების ორმოებისა და თვით გრინგმუტის ქალაქ გარედ გატანისა და გადაგდების საქმეო», ასე რომ გამოეცხადებინა, მაშინ შეიძლება გასუფთავებულიყო სტრასტნოი ბულვარის მოწამლული ატმოსფერა; აი, ეს ყველაზედ უკეთესი იქნებოდა; თორემ ძნელი ასატანია ყოველ დღე «დანოსები», ბეზღება. ეს რომ მომხდარიყო, რუსეთის საზოგადოებისათვის უკეთეს პრემიას ვერას გამოიგონებდნენ, უკეთესი ძღვენი შეუძლებელი იყო.

ქუჩუკი.

გაბილაის წერილი.

ბატონო ლედახტორო! აი დალოცვილი ქვეყანა ისეა მოწყობილი, რომ ვისაც ცხვირი დაღმა ჩამოუშვია, ყველა სუტენტობას ჩემობს. კი, თქვენ ნუ მეუკტე ჩემ თავს, თვარა სად ჯიბილაი და მოსიკელაი და სად გაზეთი. რა მაგინის საქმეა გაზეთი? ამან გამაბედვია ამ წერილის მოწერა, თვარა ჩემი თავი მოგიკტეს, თუ შენ გაბილას მიდღემჩი სუტენტურათ ეწეროს. ერთმა ყაზირალმა ჩვენში მევარკაცი დეინთქვა, მიორემ—ეგიო და მისი ჯაბანი არ ვჭამოვო, მეცვიყო იწოდა. ამის ხელი არ იყოს, რავა მე რაღა ღმერთი გამიწყრა, რომ ჯიბილაზე და მოსიკელაზე ვარესი დავრჩი? ნუ გეშინია, გვარით და გუჯაბით არ მაკლობ: ჯერ თუ არა, ისე ქვია, ადრე მაინც ჩემი გვარი კაი, აზნოუშვილად დეიწერება. კი, თქვენ ნუ მომიკტებით. აწი ზაფუთს არ იკითხავ? გურიაში რომ კუდიგენწკი ჩამევიდა, ცხონებული ბაბუა ჩემი ხუტუაი, მისი დანაკლისი დღეი აქა მოყურადეს შევემატა, ოთხმოცდა თვრამეტი წლის ყოფილა და გურიელის დიდი მიღებული მეზარბაზნე ყოფილა. მამა ჩემი ხუტუაიდან გამიგონია, რომ გურიელის სასახლეში კაი მიღებული მამა ჩემი და კიდოვ ორი აზნოუშვილები იყვენო. თელი ტყვია-წამალი მამაჩემს ებარაო და თელი წლის ანგარიში,—გურიელის' შემონავალი და განავალი,—აზნოუშვილებსო, ასე მიღებული იყო ბაბუა ჩემი, მარა გურიელი რომ სტანბოლს გეიქცა, აზნოურობის სიგელზე ხელი-მეუწერელი დარჩა და დეპუტატ საბრანიამ კამისიაში აღარ ჩასწერა—კარში დატია. ამიზა «კარშია» დუუძახეს, თვარა ისე ნანდვილი გვარი ტაკიძე გახლავართ. ღმერთმა კაი მოგცეს, კაი გამოჩენილი გვარია. ახლა, ჯერ აზნოურობის ტოტი ტაკიძეებიდან უნდა ვიშოვოთ. ამბობენ, იგინსაც საძიებელათ აქვენო, მარა აშორთიას დაწყებული საქმეა და, ხომ მოგეხსენება, აი საიმედოა და საიმედო. ჩვენშიც რამდენი სხვაიც გამუაზნოურა იმ ხელ-ბედნიერმა. ხო, და ნახავთ, რომ პაწა ხანში შენი გაბილაი კარშია კაი გამოკვარაჭინებული აზნოუშვილი, კაი ბიჭი გურული—გაბრიელ ტაკიძე, იგივე კარშია, გამოგეჯგიმო წინ. შერცხვეს გაბილაი, თუ აგი ასე არ იქნას.

აი ყველაი სიტყვამ მოიტანა, ბატონო ლედახტორო, თვარა ამბავი აწი მაქ მოსაწერი და, შენ გენაცვალე, ნუ შემიკნაჭ-შემომიკნაჭავ, ისე დამიწერე შენ გაზეთში, თვარა და დამკალი კაკალი კაცი. ნუ მიზამ ამ საჯაჲ საქმეს.

ეგერ წინაზე ქუთეისში წასლა მომიწია. ღმერთო შენ დამიცევ!.. ოკრუჯი სუდმა გამომიწვია. არ მოხვიდე—არ იქნებაო. «გაბრიელ კარშია-მობძანდესო, საჩქაროთო, მიერთვას ეს პავესკა საკუთარ ხელშიო, თუ არა და—დეიშრაფოსო. აი ბოლოს რომ მწუთხეთ არ მიეწერა, დაპაიჯება გვარიანი ზდილობიანი იყო. აწი არ მკითხავ, რეიზა დამიბარა? დასწყევლა ღმერთმა ეშმაკი და უხილავი! ერთ ყაძახს შარშან ვინცხა აქციამა, თურმე, ვოტკის ნამყოფი იყო თუ არა, არ ვიცი —ჭარიკაი უნახა. სუნით შიეტყობა, თუ მისმა ბელასინმა იცის, რა ვიცი, აქციამა ჩასუნა ჭარიკაში. ასწია ყაძახმა და აბედა უჩივლა, — ჭარიკაში ჩამისუნაო. მეც მოწმეთ დამნიშნა. ა, ბიჭო, მისაბრეგვი კაცი! განა ერთიც კია... ბუზაის არ იყოს, რას სუნავ ამ ჩემ ჭარიკას? ქე მეწყინება. ჰო და ავდექი,.. ვიფიქრე... წევიდე მაშინით? — ხუთასი ყაზილარი კანდუხტორია, იგინის ანზავი რომ ვიცი, ეგება ტყულაი მიმაჯანჯლალ-მომაჯანჯლალონ. რეიზა ვჭამო აი აბედა მეთქინ. აგიც რომ არ იყოს... ჩვენთანა არს ღმერთი, არ ძინავს ბოროტს და ქაჯს, ეგება ამ უშველებელ ხრიგინა მაშინას თავი ვეღარ შეუკავონ, გადმოკოტრიალდეს და თელათ ზე თავზე დამალაგდეს და აიტეხაკრეფა ლოგინზე დამაწვინოს მეთქინ. რამდენი გამიგონია, რომ მაშინის პატრონი შელვინიანებულიყო და ვეღარ შეუკავა თავი პოეზს, ღელეში გადააყუდა და რეიზა ვქნა აგი? აწი კიდომ რაცხა სიზმარებმაც ამიანცა. ისთევლე ფეხით წასვლა ვარჩიე. ერთ სამშაფათს წამოვხტი, ვახსენე ღმერთი, ერთი კი დუუძახე ჩემ ქალს: აბა, შენ იცი, ჩემო დარიკავ, ბალნები და ოჯახი მეთქინ, დავკარი ფეხი საჯავოხოით და საღამოს შლეჭა გავადინე ქუთეისში. კაი ღმერთმა მოგცეს, კაი ქალაქი ქუთეისი ყოფილა. ოზრუგეთს ბევრად ჯობია. რა გინდა სულო და გულო, რომ იქინეი არ ყოფილა!.. თურმე ტყუილაი კი არ დამლოცავდა მამაჩემი:—«გაბილავ, ღმერთმა შენი თავი ქუთეისის ღობენატრათ მაჩვენაო». სიმართლე გითხრა, ძალიანი მომეწონა. აწი არ მკითხავ, ვაჭრები რა ზდილობიანი ყოფილა? მობძადი, გურულო, რას ინებებ, გურულო, როის მობძანდი, გურულო»—მიჩივოდენ. დალოცოს ღმერთმა იგინის ბაგე-პირიანობა. ოზურგეთში ჩიბუხის და გუნდა-ლახოსტაკის ვაჭარი, თუ ძალიანი არ შეეხვეწე, თავს არ დაგიკრავს, ისე გაგულდიდებულია და ქუთეისში სულ ბძანდი-ბძანდის გიჩივიან.

ოკრუჯი სუდმა მკითხა: თუ დეინახე, რომ აქციაი ცარიელ ჭარიკას სუნავდაო? ათასჯერ მეთქინ,—ვუთხარი. ადგა ოკრუჯმა და აკციას უთხრა: თუ გურულების გაკუჭება არ გინდა, აწი ცარიელ ჭურჭლებს ნუ დასუნავო. მასთე ვოტკა არ ინახებავო, რომ ვოტკა დაგეჭირა, ყაძახს ჭარიკიან-ვოტკიანა წავართმევდიო, ამიზავო საყვედური მომიხსენებიაო.

საღამოს ერთი ჩემი მეზობლის ბიჭი ვნახე—გოგინაი. კაი არდგილზე მდგარა, კაი მოგივიდეს აქ მაყურებელს. ლობენატარის კანცალარიის სტოროჟის პომოშნიკთან მოსამსახურეთ მდგარა. გულვარდში წევიდეთო, მითხრა, ბაშ უსტა, წევიდეთ მეთქი. ძაან სანახავი ყოფილა გულვარდი. რამდენი ქალი და კაცი გულავობს, აგერ ბუზიკაი უბრუწუნებს, მარა ერთმა საქმემ დამაფიშმანა: ამდენ სულში მარტუაი მე და გოგინაი ვქართულობდით. «ბიჭო» მეთქინ, ვკითხე გოგინაის, «რა ქვეყანაში ვართ მეთქინ? ქუთეისშიო მითხრა. თუ რუსეთში მეთქინ? ამ დროს ერთმა აფიცარმა და ერთმა ქალმა ჩამოგვიარა. შევატყვე საცხაიდან ახლა მოვიდენ. გზა წამონარებს გავდენ. სახე ისე წამოწითლებოდენ და ოფლი ამანქი მოსდიოდენ. ქალმა წუურუსულა: «სკვერნი დაროგა ბილსო», მე რუსულში თლათ გამოპწნილი არ ვარ, მარა აი კი ვთარგმე: სკვერნი,—ჩვენებურად რომ იტყვიან —პილწიო, იგია. დარო ჩემი ცოლის სახელია და გაბილაი მე ვარ და იგია.—პილწია დარო გაბილაისო—აიქ თქმაა ეს, მარა ამ დასტურ პილწ დედაკაცს რა ხელი აქ ჩემ ცოლთან მეთქინ, ვიფიქრე გულში და გურული სისხლიც ამიჩუხჩუხდა. აი სად ხარ ჩემო სილაღო, რომ ზე მივაკნაჭო ძირში თავი ამიზა, მარა ახლანდელ დროში სადგისი რომ ვინმემ დაგინახოს ხელში, საპყრილიაში გატკუცვიებენ თავს და სანამდი იქიდგან გამობძანდებოდე, ხუთასი კაცის თავიც გახმება. მეტი რაღა მექნა და ერთი კი მივაძახე: «აგურეც შენ საქმეს» მეთქინ! მომიხედა და «იშაკიო» მითხრა. უკაცრავათ ბძანდები, ისკი არ გახლავარ, გაბილაი მქვია მეთქინ—მივაყვირე. მარა გოგინაიმ მითხრა, ბოდიში მეიხადოო. ბოდიშიო და პაწაი გული დამიამდა, თვარა იმის სეირს დაგანახვებდი. გოგინაიმ ჩემზე უკეთესი რუსული იცის. ორივე ერთათ ვსტავლობდით ჩვენ სოფელში. რუსულში მე ვჯობნიდი, მარა ქუთეისში ახლა იმან უმფრო შეაკეთა მისი რუსული. თვარა აი ჩვენებური რუსული, ღმერთმა უშველოს ჩვენ უჩიტელს, ძალუანი დამასტავლა. ათ წელიწადს სტავლობდა იმასთან ბალნები და მაინც კაი მცოდნე გამოდიოდენ. ხო-და მომშორდა იგი ჩემი რუსები და მე და გოგინაიც მოვშორდით გულვარდს. მეორე დღეს დავკარი ფეხი და ფხეკა მუადინე შინ. ასე მევიარე ქუთეისი, ჩემო ლედახტორო, და შენ და შენი ნამუსი, თუ ამ ამბავს დამიწერ მაგ გაზეთში. თუ ღმერთმა შენიანა შვიდობა მომცა, ერთი ბათომშიაც ვაპირებ და ამბვების მოწერა მაშვინ მკითხე. მანამდი კი მშვიდობით ბძანდებოდე.

გაბილაი კარშია.

ქართველები და რუსეთის ცივი ჰავა.

ჯერ ისევ მეჩვიდმეტე საუკუნეში დაიწყეს დრტვინვა ბედისაგან ჩრდილოეთში გადახვეწილმა ქართველებმა — «რუსეთის ჰავას ვერ ვიტანთო, ჩვენი ჯანი და ღონე დნებაო». მას აქეთ ეს საბუთიანი დრტვინვა თან და თან გაძლიერდა დღემდე, მაგრამ რუსეთთან კავშირი რაკი თან და თან აუცილებელი გახდა და დაბოლოვდა პოლიტიკურის შეერთებით და ამის გამო, ბევრის ქართველისათვის რუსეთი აუცილებელი შეიქმნა, ვიღა ათხოვებს ყურსა ჰავის მავნებლობის შესახებ დრტვინვასა? ვისაც ცხოვრების უკუღმართობამ დაავალა რუსეთში ცხოვრება, იმათ შესახებ ლაპარაკი ამ ჟამად მეტია. მაგრამ ქართველ ჯარის კაცთა რუსეთში აქა-იქა დაქსაქსვა კი ფრიად კარგი იქმნებოდა თავიდგან აეცილებინათ საცოდავებისათვის. ყვარლის მილიციონერთა მხედრობა რომ ყვარელში სცხოვრობდა, მითომ რაო? რითი არ იყო სასარგებლო ჯერ მთავრობისათვის და მერე საქართველოსათვის მისი იქ ყოფნა. დაღისტნის დამშვიდება და შამილის დატყვევება განა ყვარლის მილიციონერებმა არ ააჩქარეს? რამდენი გმირი კაცი წარმოშობა მაგ მილიციამ? მაგრამ დავანებოთ თავი ამაზედ ლაპარაკს დრომდე.

ქართველთა ჯარის კაცებს დღეს რუსეთის ყველა კუთხეში ჰნახავთ გაფანტულებს და ასიდგან ათი ძლივს ბრუნდება შინ. დანარჩენნი ან იქვე იხოცებიან მავნე ჰავის გამო, ან შინ მოდიან დასნეულებულნი, მალე იხოცებიან და თავის მომაკვდინებელ სენს საჩუქრად უძღვნიან თავის სახლის კაცებს და მეზობლებს. ეს სენი არის საშინელი ჭლექი. მოგახსენებთ ნამდვილს ამბავს:

ამ ხუთიოდე წლის წინათ, ასე 1899 წ. გიორგობისთვეში, ჩემთან მოვიდა ორი გურჯაანელი ახალგაზრდა ბიჭი: ვანო პეტრუზაშვილი და ა. ნიბლაძე. ორნივე ჯანღონით იყვნენ სავსენი, წითლად ღვიოდნენ და მთელ სოფელში (გურჯაანში) სამაგალითო მუშაკებად ითვლებოდნენ. ამათგან პეტრუზაშვილი პოდოლის გუბერნიაში (ქ. ვინნიცაში) გაგზავნეს ჯარისკაცად, ხოლო ნიბლაძე პეტერბურგში.

ა. ნიბლაძე მეორე წელიწადსვე მოიდნო ჭლექმა და იქვე მოკვდა საცოდავი. მოხუცმა დედამ და ძმებმა გურჯაანში გამოიტირეს საყვარელი შვილი და მკვდარიც დაეკარგათ, ცოცხალს ვიღა ჩიოდა.

ვანო პეტრუზაშვილმაც პირველ წელიწადსვე დაიწყო სამდურავი იქაურობაზედ: ჰავას ვერ ვიტანო. მართლაც, მეორე წელსვე გამოჰგზავნეს სამშობლოში ჭლექით დაავადებული და 1902 წ. იანვარში თქვენი ჭირი წაიღო. მთელმა სახლობამ დაჰკარგა ჩინებული მუშა, თვისი შემნახავი. მაგრამ ან ამას ვიღა ჩივის. საცოდავ ვანოს ჰყვანდა თავისავით სამაგალითო ძმა—მუშა ბიჭი. გადაედო ჭლექი იოსებასაც და შარშან ენკენისთვის 27 დაასაფლავეს ბედკრული. ამასაც ვიღა ჩივის: დაიბუდა თურმე საშინელმა ჭლექმა იმ სახლში და დღეს ლამის მთელს ოჯახს ცოცხი მოუსვას. ექიმების რჩევით, სახლი უნდა დაიწვას და დეზინფექცია გაუკეთდეს ირგვლივ არე-მარეს, თორემ ყველას მოიდნობსო.

რა მადლი იქნებოდა, ის საცოდავი ბიჭები მანგლისში ან გორში ემსახურებინათ? დღესაც ხომ ცოცხალნი იქნებოდნენ?

ზ. ცხვილოელი.

რუსეთი

კვირას, 21 ნოემბერს ამა წლისა, ქალ. ვორონეჟში რესტორან «გრანდ-ოტელ»-ის დარბაზი არა ჩვეულებრივს სანახაობას წარმოადგენდა. დარბაზში თითქმის ორასამდე კაცს მოეყარა თავი, რომელთა შორისაც შეჰნიშნავდით ადგილობრივ ერობის წარმომადგენლებს, ექიმებს, იურისტებს, ინჟენრებს, ვაჭრებს და სხვ. და გულდასმით ისმენდნენ პეტერბურგიდგან ახლად დაბრუნებულ ერობის წარმომადგენელთა მოხსენებას, შესახებ ამ დღეებში იქ მომხდარ ერობის წარმომადგენელთა კერძო კრებისა. მოხსენების წაკითხვის შემდეგ დარბაზში საერთო ვაშა გაისმა და დამსწრე საზოგადოების გატაცებამ უმწვერვალეს ხარისხამდე მიაღწია. კრებამ იმავე წამს დაადგინა, რომ დეპეშით განუცხადოს შინაგან საქმეთა მინისტრს თავ. სვიატოპოლკ-მირსკის თავისი სრული სოლიდარობა ერობის შესახებ წამოყენებულ და განმარტებულ საკითხებში. ამას შემდეგ გაიმართა ვახშამი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა თითქმის ორასამდე კაცი და წარმოითქვა არა ერთი და ორი საყურადღებო სიტყვა. სხვათა შორის, მოიგონეს სამშობლოდგან განდევნილ ერობის მოღვაწეთა სახელები და, საზოგადოთ, უნდა ვსთქვათ, რომ დამსწრე საზოგადოებას რაღაც არა-ჩვეულებრივი ენტუზიაზმი ეტყობოდა და სახეზე, თითქმის სულ ყველას, აღფრთოვანებასთან ერთად, უკეთეს მომავლის რწმენის ბეჭედი აღბეჭდოდა. (რუს. ვ.).

—

სმოლენსკის სახალხო ბიბლიოთეკის გამგეობას, 13 ნოემბერს მომხდარ კრებაზე, სხვათა შორის, დაუდგენია, რომ მთავრობის წინაშე აღძრას ასეთი შუამდგომლობა: 1) სავსებით შეიცვალოს ბიბლიოთეკა-სამკითხველოების აწ არსებულ წესდების ზოგიერთი მუხლები, განსაკუთრებით ისეთი §§, რომლის ძალითაც ადგილობრივ ადმინისტრაციას სრული უფლება აქვს თავის სურვილისამებრ დანიშნოს ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გამგედ მისმიერ არჩეული და ან რომელისამე ამ დაწესებულების თანამშრომელი ამა თუ იმ თანამდებობიდგან გადააყენოს. 2) ნება დართულ იქმნას, რომ ბიბლიოთეკა-სამკითხველოებში ყოველნაირი წიგნები იქონიონ. 3) მოისპოს ცენზურა და 4) ადგილობრივ ხალხში წერა-კითხვის და ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებათ მეტი უფლება მიენიჭოთ. ამასთანავე კრებამ ერთხმად დაავალა კომიტეტს, მოახსენოს ბ-ნ მინისტრს თავისი გადაწყვეტილება და შეურყეველი რწმენა, რომ საზოგადოებაში მხოლოდ მაშინ შეიძლება ჯეროვანად სწავლა-განათლების საქმის წაყვანა და გავრცელება, როდესაც ყოველ კერძო ადამიანს მეტი უფლება ექმნება მინიჭებული და, საზოგადოთ, პიროვნება ადმინისტრაციის თვითნებობისაგან უზრუნველ-ყოფილი იქმნება. საჭიროა პიროვნების, რწმენის, სარწმუნოების და ბეჭდვითის სიტყვის სრული თავისუფლება; უამათოდ კი სასაზოგადოების წინსვლა ყოვლად შეუძლებელიაო. (რუს. ვედ.).

სამოსამართლო წესდებათა 40 წლის იუბილეი. დონის როსტოვის ნაფიცნი ვექილნი დეპეშით, რომელიც პეტერბურგში ცნობილ ვექილის კარაბჩევსკის სახელობაზე იყო გაგზავნილი, თავიანთ სრულს სოლიდარობას უცხადებენ პეტერბურგის ნაფიც ვექილთა კორპორაციას და მათ მიერ 21 ნოემბერს გამართულ კრებაზე დადგენილ რეზოლიუციას და სთხოვენ აგრეთვე აცნობონ ეს შინაგან საქმეთა მინისტრს თ. სვიატოპოლკმირსკის. (რუს. ვედ.).

— **სტუდენტთა კორპორაციის „დენნიცა“-ს გაუქმება.** შარშან პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებმა დააარსეს ერთი კორპორაცია, რომელსაც სახელად «დენნიცა» უწოდეს. 22 ნოემბერს, როგორც «რუს. ვედომოსტი» იუწყება, ლექციის დაწყების წინ, ამ კორპორაციის წარმომადგენლებმა განცხადება წაიკითხეს და სთქვეს, რომ დღეიდგან «დენნიცა», როგორც კერძო დაწესებულება, ისპობა და მისი წევრნი მზად არიან მონაწილეობა მიიღონ დანარჩენ სტუდენტებთან ერთად ყოველ გვარს სტუდენტთა შესახებ აღძრულ საგანთა განმარტება-შემუშავებაში. (რუს. ვედ.).

— როგორც უკვე ვიცით, წელს შესრულდა 40 წელი მას შემდეგ, რაც რუსეთში შემოღებულ იქმნა ახალი სამოსამართლო წესდებანი. ამ ორმოცის წლის განმავლობაში მთავრობის მიერ სხვა და სხვა დროს გამოცემულ დამატებითი ცირკულიარებით წესდების ბევრი ღირს-შესანიშნავი მუხლები შეზღუდულ და გაუქმებულ იქმნა და საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ, როგორც «პრავო»-ს რედაქტორი ბ-ნი გესსენი ამბობს, 1864 წლის დიდებულის რეფორმის მხოლოდ სახელი-ღა დარჩა და სხვა არაფერი. მთელის რუსეთის საზოგადოების შეგნებული ნაწილი დიდი ხანია გრძნობს ამგვარ რეჟიმის უვარგისობას და დღევანდელ ცხოვრებისათვის სრულს შეუფერებლობას და, აი, სწორედ წელს, როდესაც წესდების 40 წლის იუბილეი შესრულდა, საზოგადოებამ შემთხვევით ისარგებლა და, როგორც მოსალოდნელი იყო, არა ერთსა და ორს ალაგას გამართა მრავალრიცხვოვანი კრებები და ბანკეტები. ასეთი კრებები გაიმართა პეტერბურგში, მოსკოვში, ნიჟნი-ნოვგოროდში, სარატოვში, პოლტავაში და რუსეთის თითქმის სულ ყველა ქალაქებში. ყველგან აუარებელი საზოგადოება ესწრება და მხურვალე მონაწილეობას იღებს, როგორც სიტყვით, აგრეთვე საქმითაც. ბევრი მეტად საყურადღებო სიტყვა წარმოითქვა ამა თუ იმ საჭირბოროტო საგანზე და თითქმის სულ ყველა ორატორმა თავის სიტყვაში ის აზრი გაატარა, რომ რუსეთში სამოსამართლო საქმეთა სამართლიანად წარმოებისათვის აუცილებლად საჭიროა: ყოველის ადამიანის პიროვნებას მეტი თავისუფლება მიენიჭოს და ადმინისტრაციის თვითნებობისაგან და ოპეკისაგან უზრუნველ-ყოფილ და განთავისუფლებულ იქმნას; რუსეთის დღევანდელ გაჭირვებულის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ეხლავე საჭიროა, რომ პრესას, სიტყვას და საზოგადოების თვითოეულ წევრთა რწმენა-შეხედულებას სრული თავისუფლება მიენიჭოს, სხვა და სხვა სახალხო კრებებს, საზოგადო ორგანიზაციებს მეტი უფლება მიეცეს და არ სდევნიდნენ ისე, როგორც ეხლა სდევნიან. ამ თავითვე გაუქმებულ იქმნას ამ უკანასკნელ ხანებში შემოღებულ გაძლიერებულ დაცვის დროებითი წესდებანი; ყოველგვარი დანაშაული, მათ რიცხვში პოლიტიკური და სახელმწიფოც, დაექვემდებაროს ნაფიც-მსაჯულთა ინსტიტუტს და საქმეთა გარჩევა საჯაროდ უნდა სწარმოებდეს.

ბანკეტის დასასრულ კრება უგზავნის მისალოცავ დეპეშებს თავის რეზოლიუციით შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრებს, რომელზედაც ხელს დამსწრე საზოგადოება ასობით აწერს. (რუს. ვედ.).

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

დილის დეპეშები.

30 ნოემბერი.

ლონდონი. (რეიტერი). გენერალი კიტჩენერი ამ ჟამად იმის ზრუნვაშია, თუ რამდენი ჯარი უნდა ჰყავდეს ინდოეთში, თუ ვინიცობაა თავს დაესხმიან და თუ მტრის ძალა 500 ათასს კაცამდე იქნება. ინდოეთს შეეძლება გამოიყვანოს 160 ათასი კაცი 350 ზარბაზნით და გამოიყვანოს კიდევ სათადარიგო ჯარი 136 ათასი. მაშასადამე, საჭიროა ინდოეთის ლაშქარი გაძლიერდეს. ამბობენ, არის პროექტი, მსურველებით შეავსონ ნაკლი და გამოიწვიონ შესავსებად კიდევ კანადიდან, აფრიკიდან და ავსტრალიიდან. სამხედრო მინისტრმა სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა ნიუ-კესტლში, მოიყვანა ადგილი გენერალ ჰამილტონის წერილიდან; ეს გენერალი იაპონიის ჯარშია და, სხვათა შორის, ამბობს: «ამ ომმა დაჰბადა ჩემში მწვავე გრძნობა, რომ ჩვენის ლაშქრის მდგომარეობა საშინელებას უქადის ჩვენის ქვეყნის არსებობასაო».

ბუდაპეშტი. დღევანდელის დეპუტატთა კრების დაწყებამდე ოპოზიციამ დაანგრია პრეზიდენტის ტახტი და მინისტრთა საჯდომი ადგილები და გამოდევნა დარბაზიდან პარლამენტის დარაჯი. კრება აღარ შესდგა. ლიბერალებს ბჭობა აქვთ, როგორ მოიქცნენ შემდეგში.

პოლტავა. პოლტავის ახლო თავის მამულში გარდაიცვალა გამოჩენილი ქირურგი, პროფესორი სკლიფაროვსკი.

კიევი. კიევის წითელის ჯვრის გამგეობამ, გაეცნო რა «სინ ოტეჩესტვას» № 7-ში დაბეჭდილს წერილს „კიევის შერცხვენა“ („Кіевское позорище“), სრულის სიცრუის გამო იმ ფაქტებისა, რომელიც იმაშია მოხსენებული, ერთხმად დაადგინა, სასამართლოს წესით უჩივლოს ცილის წამებისათვის.

1 დეკემბერი.

პეტერბურგი. 30 ნოემბერს ოლქის სასამართლომ შინაგან საქმეთა მინისტრის პლევეს მკვლელებს მიუსაჯა: საზონოვს სამუდამო კატორგა, ხოლო სიკორსკის—ოცის წლითა.

პარიჟი. ელჩმა ბომპარმა «ტან»-ის კორესპონდენტს საუბარის დროს უთხრა; რუსეთი ეხლა უფრო მტკიცედ მოქმედობს და ყოველ ღონეს ხმარობს, რომ შორეულს აღმოსავლეთში თავის საწადელს მიაღწიოს. ჯარების გაგზავნა, საკვების და სამხედრო მასალისა ენერგიულად სწარმოებს. ეხლა კუროპატკინს პირველის ხარისხის ლაშქარი ჰყავსო. სტესელმა შეაფერხა იაპონელები და ძალას აცლის იმათ. ფინანსები საუცხოვო მდგომარეობაშია. იმოდენა შეძლება აქვს რუსეთს, რომ მხოლოდ დიდის გასაჭირის დროს თუ მიმართავს გარეშე სახელმწიფოთა შემწეობასა. თუ დასჭირდება ამისთანა შემწეობა, საფრანგეთს დაეთმობა უპირატესობა მონაწილეობის მიღებაში შესაწევნელად.

სუდა, 30 ნოემბერი (რეიტერი). მოვიდა რუსის კრეისერი «იზუმრუდი».

სალამოს დეპეშები

1 დეკემბერი.

მუკდენი, 1 დეკემბერი. ბრძოლის ველზე სიწყნარეა. ჯარი მიწურებში ცხოვრობს და შეშაცა და თბილი ტანისამოსიც აქვს. თუმცა დიდი ყინვებია, მაგრამ არავინ არ იყინება და ავადაც არ ხდება. შანჰაიგუან-სინმინტინის რკინის გზა იაპონელების გავლენის ქვეშ არის. ეს გავლენა უფრო შანჰაიგუანსა და კოუშანძის შუა ემჩნევა. ინკოუს ნავთსადგური გაიყინა. ღამ-ღამე ყინვა საშუალოდ 14° იაპონელები ძალიან ავადმყოფობენ.

სიმფეროპოლი. საოლქო სასამართლოში სისხლის განყოფილების სესიის საქმეთა გათავების შემდეგ ნაფიც მსაჯულთა თავმჯდომარემ, მოკრუეცკიმ ნაფიც მსაჯულთა მინდობილობით სასამართლოს თავმჯდომარეს გადასცა შუამდგომლობა შესახებ იმისა, რომ სამოსამართლო წესდებას მათი პირვანდელი სახე დაუბრუნდესო. სასამართლოს თავმჯდომარე დაჰპირდა, შუამდგომლობას სასამართლოს საზოგადო კრებას გადავცემო.

შანჰაი, 30 ნოემბერი. (რეიტერი). კრეისერი «ასკოლდი» ნახშირით ისევ იტვირთება; 1000 ტონა უკვე დაუდეს. გემის უფროსი საჯაროდ თვალყურს ადევნებს ნახშირის დადებას- რომელიც ხვალ უნდა გათავდეს.

ტოკიო. (რეიტერი). სეულის გზით მოსულ ცნობით 23 ნოემბერს იაპონელთა რაზმმა ფიონჩენის მიდამოებში ღამე იერიში მიიტანა ყაზახთა რაზმზედ. რომელიც 200 კაცისგან შესდგებოდა. ყაზახები იძულებულ იყვნენ პენტინჯანისკენ დაეწიათ. რუსებმა ბრძოლის ველზე 6 მოკლული, 22 თოფი და 3 ცხენი დასტოვეს.

ათინა. (რეიტერი). პირეიში მოვიდა ნაღმიანი გემი «გრომზნი», რომელსაც მანქანა აქვს დაზიანებული.

ჩიფუ, 30 ნომბერი. (რეიტერი). დალნიდგან მოსული კაცი ამბობს, რომ 17 ნოემბერს რუსების ნაღმიანმა გემმა პორტ-არტურის მახლობლად ჩასძირა იაპონელების კრეისერი, რომელსაც «საიან»-ზედ უფრო მოზრდილი იყოვო. 12 ნოემბერს იაპონელების კრეისერმა პორტ-არტურიდგან გამოსული რუსების ორი ნაღმიანი გემი ჩასძირა. დალნიდგან ყოველ დღე იაპონიაში ჩრდილოეთიდგან მოსულ 400 ავადმყოფსა და დაჭრილს ჰგზავნიან.

პეტერბურგი. სახაროვი დეპეშით ატყობინებს მთავარ შტაბს: 1) 29 ნოემბერს ღამე ბრძოლის შესახებ მოხსენება არ მიგვიღია. ღამე ყინვა 23 გრადუსამდეა. ჯარი მშვიდობით არის. 2) 30 ნოემბ. ღამე ბრძოლის შესახებ არავითარი მოხსენება არ მოსულა. ღამე ყინვა 17 გრადუსამდეა.

დროებით რედაქტორი **ზრ. ჭიჭინაძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი:

პეტერბურგის ბირჟა

30 ნოემბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,70
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	37,30
ბერლინში ,,	94,45
პარიჟში ,,	46,30
ბირჟის დისკონტი.	37,52$^1/_2$.
4% სახელმწიფო რენტა	6—7$^1/_2$%.
4% სახ. სესხი 1902 წ.	91$^1/_2$ ნ. გაყ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთა ბანკისა	—
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	89$^3/_8$ნ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	422 წ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	316 წ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4$^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
4$^1/_2$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

სახალხო ბიბლიოთეკები.

«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა».

ტფილისში:

1) სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში. ღია არის
დილის 10—2 საათ.
საღამ. 5—7 „
კვირა-უქმეს—დილ. 11—1 „
2) ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქ., № 131. ღია არის
დილით 10—2 საათ.
საღამ. 5—9 „
3) ოლღას ქუჩაზე, სახლი № 19
ღია არის დილით 10—2 საათ.
საღამ. 5 - 8 „

განცხადებანი

ავტორთა საყურადღებოდ

ამ წლის ივნისის 7-ს ქ. ტფილისში დაარსდა წიგნების გამომცემელი ამხანაგობა «სხივი», რომელსაც საგნად აქვს ჰბეჭდოს ქართული სახალხო და საყმაწვილო წიგნები მეცნიერების ყველა დარგისა და სიტყვიერებისა.

ამხანაგობა დაიწყებს თავის მოქმედებას მომავალ 1905 წლის თებერვლიდან.

ამხანაგობის დამფუძნებელმა წევრებმა ამოირჩიეს დროებითი სარედაქციო კომისია, რომელსაც დაავალეს მოამზადოს შესაფერი მასალა გამოსაცემად.

ამხანაგობას ჯერ-ჯერობით აზრად აქვს გამოსცეს შემდეგის დარგის ორიგინალური და ნათარგმნი თხზულებანი: საექიმო, სამეურნეო, ისტორიული და პოლიტიკურ-ეკონომიური.

ხსენებული დროებითი რედაქცია სთხოვს ბ-ნთ ავტორებს, მოაწოდონ თავიანთი თხზულებანი გასაშინჯად და გამოსაცემად.

რედაქცია სთხოვს ავტორებს ნაწარმოებთან ერთად აცნობოს მას წერილით: რა პირობებით სურთ დაუთმონ ამხანაგობას თავიანთი თხზულებანი.

ნაწარმოების გამოგზავნა შეიძლება შემდეგის ადრესით: ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილს (ქ. ტფილისი, იზმაილოვის ქ. № 44.), ანუ ალექსანდრე გრიგოლის ძეს სოლოლაშვილს. (ქ. ტფილისი, გოლოვინის პროსპ. № 12).

სარედაქციო კომისიის წევრნი: ალ. სარაჯიშვილი, ს. ღლონტი, ს. გორგაძე, ალ. სოლოლაშვილი.

„ცოდნა“-ს

წიგნის მაღაზიაში

ისყიდება:

დიდი სურათი შოთა რუსთაველისა აკაკის ლექსით ბრისტოლის ქაღალდზედ.	60 კ.
რაჭა სოსიკო მერკვილაძისა.	20 კ.
ლექსები ილია ჭავჭავაძისა—სურათით	15 კ.
რაშია ბედნიერება? იასე რაჭველისა	10 კ.
სამშობლო და კაცობრიობა ი. მაჭავარიან.	10 კ.
სიმღერა აკაკისა—სურათით.	15 კ.
წმიდა გიორგის რაზმი აკაკისა	5 კ.
გრიგოლ ორბელიანის ლექსები.	20 კ.
კულტურა ლიპერტისა ნათ. კ. ყიფიანისა	50 კ.
ლექსიკონი რუსულ-ქართული	50 კ.
ლექსიკონი საბა ორბელიანისა.	3 მნ. ,,
ლექს—ონი სახოკიასი რუსულ-ქართულად.	20 კ.
სამეგრელოს საერო სკოლები ლ. ლოლუასი	5 კ.
ბაში-აჩუკი აკაკისა	30 კ.
ვაჭრული ჭკუა აკაკისა	5 კ.
პატარა ჩონგური (დედა ენა)	5 კ.
დათუნა გოცირიძე და რაჭის ერისთავი როსტ.	5 კ.
ოქრუა (ხალხური ზღაპარი)	5 კ.
სამი ზღაპარი	10 კ.
აბრაამის და იობის ლექსი	3 კ.
თამარ მეფე სურათით	5 კ.
თხზულება ია ეკალაძისა	1 მან. ,,
ქვათა ღაღადი ი. ჭავჭავაძისა	,,—30 კ.
იგივე რუსულად თარგმანი	,,—50 კ.
დამაკვირდი, ბრძენთა აზრები	,,—50 კ.
მამიდა ასმათი გ. წერეთლისა	,,—20 კ.
ჩემი თავ გადასავალი აკაკისა	1—,, ,,
სიტყვიერების თეორია ე. კ.	1—,, ,,
გლეხი კაცის ისტორია 2,3, და 4 ნაწილი	1—80 კ.
დამონებულნი ნათ. თ. სახოკიასი	1—,, ,,
ლექსიკონი ქართ.-რუს. ჩუბინაშვ. ყდ.	9—,, ,,
ამ გვარივე რუსულ-ქართული ყდით	3—,, ,,
ლექსიკონი რ. ერისთავისა ბოტანიკ.	„—60 კ.
ანტონ კათალიკოზ. ქართ. ღრამატიკა	1—50 კ.
ვახუშტის გეოგრაფია	2—,, ,,
ისტორ. საბუთები შიო მღვიმის მონასტრ	,,—50 კ.
ვეფხვის ტყაოსანი წ. კ. გამოცემული.	,,—60 კ.
მზა მეტყველება ანტონ კათალიკოზისა.	2—50 კ.
დავით გურამიშვილი	1—,, ,,
ქართლის ცხოვრება I, II და III.	1—80 ,,
Вступл. Грузіи въ сос. Рос. Имп.	„—40 к.
Исторія Грузинск. церк. Е. К.	2 р. „ „
კალმასობა იოვანე ბატონიშვილისა	1—,, ,,
ამირან-დარეჯანიანი	1—,, ,,
ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა	1—,, ,,
რამას განდევნა ალ. ს—შლისა.	,,—40 კ.

თხზულებანი: აკაკი წერეთლისა, ილია ჭავჭავაძისა. ალ. ყაზბეგისა, მამია გურიელისა, გიორგი წერეთლისა, გრ. აბაშიძისა, ვაჟა-ფშაველასი, არაგვისპირელისა და სხვათა.

სურათი თამარ მეფისა დიდი	1—50 კ.
» » » პატარა.	» 6 კ.
„ აკაკისა ბრისტოლის ქაღალდზე.	50 კ.
„ ილია ჭავჭავაძისა	50 კ.
„ ალექსანდრე ყაზბეგისა	50 კ.
,, რაფიელ ერისთავისა.	40 კ.
,, ბარ-თაშვილისა	50 კ.
,, ევნატე ნინოშვილისა	30 კ.
,, გიორგი წერეთლისა	30 კ.
,, ლეონიდე ეპისკოპოზისა	30 კ.
ჯგუფი თამარისადმი ვეფხ. ტყაოს. მიმართ.	50 კ.
საქართველოს დიდება, საბინისასა.	1—20 კ.
სურათები ქართველ მწერალთა და მსახიობთა საფოსტო ღია ბარათზე თითო.	,,—5 კ.

აქვე ისყიდება სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები და ყოველგვარი ქართული წიგნები.

ვინც მოისურვებს წიგნების დაბარებას, დაუყოვნებლივ გაეგზავნება ფას დადებით.

მისამართი ფოსტით: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

მაღაზიის პატრონი **სოსიკო მერკვილაძე.**

ვისაც უნდა დაიკვეთოს 1905 წ.

კალენდარი (სათვეო)

„ცოდნა“

მიჰმართონ სოსიკო მერკვილაძეს.

◆ კალენდარი ჰღირს ორ შაურად ◆

ვინც ერბამად ასს ცალზე მეტს იყიდის, კალენდარი დაეთმობა **ექვს-ექვს კაპეიკად.**

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი, № 12.
ფოსტით: მისამართი Тифлисъ Книжный магазинъ „ЦОДНА“.

(10—10).

ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

ილია ჭავჭავაძის ლექსები.	15 კაპ.
რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა	20 ,,
რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა	10 ,,
სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა	10 ,,
ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი	7 ,,

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

(40—40). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

ახალი გამოცემანი

1) **იავნანამ რა ჰქმნა?** მოთხრობა ი. გოგებაშვილისა, მეოთხე გამოცემა, მეთორმეტე ათასი, ფასი ერთი შაური. ვინც ათობით იყიდის, წიგნაკი დაეთმობა ოთხ კაპეიკად. ვინც ოცობით—სამ კაპეიკად.

2) **ბურჯი ეროვნებისა**, მისივე, მეორე, ბევრად შევსებული გამოცემა, ფასი ერთი აბაზი. ვინც ათობით იყიდის, დაეთმობა 16 კაპეიკად, ვინც ოცობით—15 კაპეიკად.

3) **Къ вопросу о мингрельской школѣ**, მისივე, ფასი ერთი აბაზი. იგივე დათმობა.

4) **Правда о Тифлисѣ**, მისივე, მეორე, ბევრად შევსებული გამოცემა, ფასი ერთი აბაზი. იგივე დათმობა.

5) **Какъ поднять Кавказкую народн. школу**, მისივე, ფასი ექვსი შაური. ვინც ათობით იყიდის, წიგნი დაეთმობა 24 კაპეიკად, ვინც ოცობით—22 კაპეიკად. (5—5).

სამკერვალო

ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობ ქალთა ტანისამოსს

შესაკერად

ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა და სხვა ხელთ-საქმისას.

ტფილისი, წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ანა მერკვილაძისა.

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკანომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს № საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, 4 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—24)

Дозволено цензурою Тифлисъ, 1 декабря, 1904 г.

Тип. Е. И. Хеладзе Русск. базаръ, домъ арм. семинаріи